საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

- **საგანი:** სამშენებლო სამუშაოების გავლენაზე მიმდებარე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე (უსაფრთხოებაზე), როგორც მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში;

- **მისამართი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. N3 (ს/კ. 01.15.05.060.038);

- **გამოყენებული მასალები:** საპროექტო ტერიტორიის და ნაკვეთის მიმდებარედ მდებარე შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერება; პროექტის არქიტექტურული ნაწილი; პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა;

- **საპროექტო ტერიტორიის აღწერილობა:** საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ტერასული ტიპის მიწის ნაკვეთს, ტერასები ერთმანეთისგან გამოყოფილია საყრდენი კედლით და მათ დონეებს შორის სხვაობა შეადგენს 3 მეტრს.

- **დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები:** საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი არის მრავალბინიანი-მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. პროექტის თანახმად შენობა წარმოადგენს მონოლითური რკ.ბეტონის კარკასული ტიპის 7 სართულიან ნაგებობას, საიდანაც 2 სართული არის მიწისქვეშა. საძირკვლის ტიპად გათვალისწინებულია მონოლითური რკ.ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯოვანი სისტემა რომელთა დიამეტრი შეადგენს 80სმ. და სიგრძე 13 და 16 მეტრს. რომლებიც დაფუძნებული იქნებ არგილითების (70%) და ქვიშაქვების (30%) მორიგეობაზე (ფუძე გრუნტის ნორმატიული წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე არის Rc-23.56 მპა). ისინი ორ დონეზე (-10.30 და -7.30) იკვრება ერთიანი მონ. 50სმ. სისქის საძირკვლის ფილის საშუალებით.

- საპროექტო ქვაბულში ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრიდან დაგეგმილი არის ე.წ. რკინა-ბეტონის (დიამეტრი 300 ან 800) მმ.) "ხიმინჯების მწკრივის" მოწყობა. ხოლო პერიმეტრზე დასავლეთის მხრიდან დაგეგმილი არის ბუნებრივი დახრით ქვაბულის ფერდის მოწყონა, დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გარეშე. ფერდის დახრის კუთხე ზუსტდება ადგილზე (სამშენებლო მოედანზე) ამა თუ იმ გრუნტის ტიპის და ზედაპირზე გამოვლენის შესაბამისად.

- **მიმდებარე ტერიტორიის აღწერილობა:**

  - **ჩრდილოეთის მხრიდან** ესაზღვრება ორი მიწის ნაკვეთი - (ს/კ **01.15.05.060.003**; **01.15.05.060.021**)
    - 01.15.05.060.003 - ზე განთავსებული არის 5 სართულიანი, მრ. ბინიანი საცხოვრებელი სახლი (იხ,სურათი 1). კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი მიეკუთვნება მზიდკედლიან ნაგებობას, სართულშორის გადახურვებზე გამოყენებული არის ანაკრები ღრუტანიანი ფილები, კიბის უჯრედებში ასევე გამოყენებული არის ანაკრები მარშები და

ბაქნები, ვიზუალური დათვალიერების შედეგად მასზე არ გამოვლენილა რაიმე სახის საფრთხის შემცველი ბზარები ან დაზიანებები. თუმცა სააპროექტო და არსებული შენობების სიახლოვის გამო, პერიმეტრის ამ მხარეს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით განთავსებულია ე.წ. ” ხიმინჯების ფარდა” რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საპროექტო შენობა არც მშენებლობის და არც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში, არ მოახდენს უარყოფით გავლენას არსებული შენობის მდგრადობა-უსაფთხოებაზე.



სურათი 1

- 01.15.05.060.021 - ზე განთავსებული არ არის შენობა/ნაგებობა. აღნიშნულ მხარეს პროექტის თანახმად გათვალისწინებულია ე.წ. ” ხიმინჯების ფარდა”, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საპროექტო შენობა არც მშენებლობის და არც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში, არ მოახდენს უარყოფით გავლენას სხვა შენობა/ნაგებობაზე;

- **აღმოსავლეთის მხრიდან** ესაზღვრება გერგეთის ქუჩა. გზის სიგანე დაახლოებით 5 - 6 მეტრია. გზას მეორე მხრიდან ესაზღვრება ნაკვეთები - ს/კ. **01.15.05.071.004;** ს/კ. **01.15.05.071.003** და ს/კ. **01.15.05.071.002,** რომელებზეც განთავსებული არის შენობა/ნაგებობბები. გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო შენობის აღმოსავლეთ კონტური საკმაოდ ახლოსაა აღნიშნული გზის საფართან, პროექტის კონსტრუქციული ნაწილში, ამ მიმართულებითაც გათვალისწინებულია ე.წ. ”ხიმინჯების ფარდის” მოწყობა. აქედან გამომდინარე საპროექტო ქვაბულის აღნიშნული მიმართულებით საპროექტო შენობის უარყოფითი გავლენა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე მოსალოდნელი არ არის.

- **სამხრეთის მხრიდან** ესაზღვრება ორი მიწის ნაკვეთი - (ს/კ **01.15.05.060.028; 01.15.05.060.023;**),
  - 01.15.05.060.028 - ზე განთავსებულია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (სურათი 2). კონსტრუქციული თვალსაზრისით ის წარმოადგენს მზიდკედლიან ნაგებობას და აშენებულია წითელი კერამიკული აგურის საშუალებით. ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ბზარები შენობის მზიდი კედლების ნაწილში და ასევე ატმოსფერული ნალექების შედეგად ჩამოყრილია მოსაპირკეთებელი მასალა. **დაზიანების ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება 2-3 კატეგორიას.**
  - 01.15.05.060.023 - ზე განთავსებულია 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლი (სურათი 3). იგი კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს მზიდკედლიან ნაგებობას. **ვიზუალური დათვალიერების შედეგად მასზე რაიმე სახის საფრთხის შემცველი ბზარი ან დაზიანება არ გამოვლენილა.** არსებულ და სააპროექტო შენობას შორის მდებარეობს გამყოფი საყრდენი კედელი.



სურათი 2



სურათი 3

გამომდინარე იქიდან რომ საპროექტო ქვაბულის სამხრედის მხრიდან მდებარე ორივე შენობა საკმაოდ ახლოს მდებარეობს საპროექტო შენობასთან, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის თანახმად ამ მიმართულებითაც დაგეგმილია ე.წ." ხიმინჯების ფარდის" მოწყობა. რაც საკმარისია იმის სათქმელად, რომ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ურყოფით გავლენას არ მოახდენს

- **დასავლეთის მხრიდან:** ესაზღვრება ზ. დუმბაძის ქუჩა, აღნიშნული მიმართულებით საპროექტო შენობის საძირკვლის კონტურიდან არსებულ გზის საფარამდე დაახლოებით 7-10 მეტრია. გზის სიგანე დაახლოებით 5 - 6 მეტრია. გზას მეორე მხრიდან ესაზღვრება ნაკვეთები - ს/კ. **01.15.05.070.051** და ს/კ. **01.15.05.070.041,** რომელებზეც განთავსებული არის შენობა/ნაგებობბები. გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო შენობა რკინა-ბეტონის ხიმინჯების საშუალებით ეფუძნება კლდოვან ქანებს, შენობისგან გამოწვეული ფუძე-გრუნტების დეფორმაციები მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად აღნიშნული მანძილი სრულიად საკმარისია იმის სათქმელად, რომ აღნიშნული მიმართულებით საპროექტო ქვაბულის ბუნებრივი დახრით მოწყობა უარყოფით გავლენას არ მოახდენს ზ. დუმბაძის ქუჩის და აღნიშნულ ნაკვეთებზე მდებარე შენობა/ნაგებობების უსაფრთხოებაზე, არც ახლა და არც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში.

- **რეკომენდაციები:** როგორც ზევით ავღნიშნეთ საპროექტო შენობა დაფუძნებული არის მაღალი სიმტკიცის კლდოვან გრუნტებზე, აქედან გამომდინარე შენობისგან გამოწვეული ფუძე-გრუნტების დეფორმაციები მოსალოდნელი არ არის, რაც გამორიცხავს მიმდებარე შენობების საძირკვლების ფუძეზე რაიმე სახის უარყოფით გავლენას. თუმცა პერიმეტრის სამი მიმართულებით აღმოსავლეთით, სამხრეთი და ჩრდილოეთი, მომიჯნავე შენობების საიხლოვის გამო, პროექტის კონსტრუქციული ნაწილით , გათვალისწინებულია „ხიმინჯების ფარდის“ მოწყობა. დასავლეთის მხარეს **ქვაბულის მოწყობისთვის დამატებით სპეციალური კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება საჭირო არა არის.** აქვე ავღნიშნავთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (გადაწყვეტილება მიღებული იქნება პროექტის მენეჯმენტთან ერთად) მშენებლობის პროცესში სპეციალიზირებული ჯგუფის მიერ დაწესდეს მონიტორინგი სპეცტექნიკის მუშაობის გავლენის დასადგენად მიმდებარე შენობა-ნაგებობებზე.

- **დასკვნა: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. N3 (ს/კ. 01.15.05.060.038) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები რეკომენდაციაში აღწერილი პირობების გათვალისწინებით არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მეზობელ ნაკვეთებზე (ს/კ: 01.15.05.060.003; 01.15.05.060.021; 01.15.05.060.028; 01.15.05.060.023; 01.15.05.070.051; 01.15.05.070.041; 01.15.05.071.004; 01.15.05.071.003; 01.15.05.071.002) მდებარე შენობა-ნაგებობებს და გერგეთის და დუმბაძის ქუჩების ტექნიკურ მდგომარეობას არც მშენებლობის დროს და არც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.**

  - მშენებლობა წარიმართოს „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის“ და „მშენებლობის წარმოების პროექტი“-ს შესაბამისად;
  - მშენებლობის პერიოდში მკაცრად იქნას დაცული მშენებლობის წარმოების უსაფრთხოების წესები, მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნების მიხედვით.

მშენებელ-კონსტრუქტორი
ექსპერტი
s.papashvili@cubicon.ge
+995 599 32 33 68

საბა პაპაშვილი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0016417

Mr. Saba Papashvili R.

enrolled in 1993 in Georgian Technical University

and in 1997 graduated the full course of The Faculty of Civil Engineering of the above-mentioned University

specializing in the field of Industrial and Civil Engineering

By the Decision of the State Examination Commission of December 18, 1997 Mr. Saba Papashvili R. was awarded the qualification of Civil Engineer, the Degree of Bachelor

Rector

Chairman of the State Examination Commission

Seal

Dean

City Tbilisi February 6, 1998

Registration No 0199 Registrar Gvasalia

საქართველო

დიპლომი AA № 0016417

საბა ნოზაძის ძე პაპაშვილი

1993 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1997 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის

ფაკულტეტის სრული კურსი

სამშენებლო და სამრეწველო

მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1997 წლის

„18“ დეკემბრის გადაწყვეტილებით

ს. ნ. პაპაშვილს მიენიჭა ბაკალავრის

აკადემიური ხარისხი, ინჟინერ-

მშენებლის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

დეკანი

ქალაქი თბილისი 6.02 1998 წ.

სარეგისტრაციო No 0199 რეგისტრატორი ქვასალია

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

საბა

SABA

გვარი / LAST NAME

პაპაშვილი

PAPASHVILI

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მ / M | 01009007510

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH

07.04.1976

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY

13.03.2033

ბარათის No / CARD No

22IB74063

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

თბილისი

TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

13.03.2023

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2022

სშს-ს რეგისტრაციის № 26-3184





IDGE022IB7406310100900751O<<<<

7604072M3303137GEO<<<<<<<<<<<7

PAPASHVILI<<SABA<<<<<<<<<<<<<<



რეზიუმე

საბა პაპაშვილი

- ტელეფონი: 599 323 368
- ელ.ფოსტა: s.papashvili@cubicon.ge

სამუშაო გამოცდილება

- **2015- დღემდე** / საპროექტო -საკონსტრუქტორო კომპანია „კუბიკონი“ / დირექტორი, მთავარი ინჟინერი;
- **2005- 2015** / საპროექტო ორგანიზაცია „Artstudio Project”/ მთავარი კონსტრუქტორი;
- **2000 -2005** / საპროექტო ორგანიზაცია „დელტა პროექტი 2000“ / კონსტრუქტორი;
- **1998-2000** /ქ. თბილისის უმრავი ქონების მართვის სამმართველო / სპეციალისტი;

განათლება

- **1993-1997** / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი / სამშენებლო ფაკულტეტი / სპეციალობა:

  სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი;

ენები

- ქართული - მშობლიური
- რუსული - B2
- ინგლისური - B1

კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft office Word
- Microsoft office Excel
- Microsoft office Power Point
- OutLook
- AutoCAD
- LIRA-Windows
- Monomax
- SCAD office
- ArchiCAD

სამუშაო გამოცდილება, ბოლო 5 წელი (არასრული სია)

- 50-მდე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი (დაახლ. 120 ათასი კვ.მეტრი სამშენებლო ფართობი);
- 20-მდე საცხოვრებელი ობიექტი (დაახლ. 100 ათასი კვ.მეტრი სამშენებლო ფართობი);
- 60-მდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მცირე ობიექტები.
- სხვადასხვა შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტირება, მათ შორის მიწისძვირთ დაზიანებული სახლები.
- პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ შემავალი სახლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტირება.

ობიექტები (არასრული სია)

- საზოგადო დანიშნულების ობიექტები:

2014წ. თბილისი -სავაჭრო ცენტი ბელიაშვილის ქ.ზე ყოფილი მანქანების ბაზრობის ტერიტორია; **თბილისი**- რესტორანი „ოტიუმი“კუს ტბის გზაზე; **სოფ. ლამბლო**- საშ.სკოლა 1000მოსწავლეზე;
2015წ. თბილისი- მაკდონალდსი ამერიკის საელჩოსთან; მესაზღვრეთა პუნქტი **დედოფლისწყაროს რაიონში**; ვიზიტორთა ცენტრები **ყაზბეგში და ალგეთში**.

2016წ. მარნეულის რაიონი სოფ. ბეითარაბაჩი სასაზღვრო სექტორი; **ქუთაისის** მაკდონალდსი;

2017წ.ქ. თბილისი ორბელიანის მოედანი; **ბათუმი**- მრავალფუნქციური კომპლექსი (თეგეტა მოტორსი);

თბილისი-კომერციული და საოფისე შენობა ბელიაშვილზე;

2018წ. თბილისი თი ბი სი ბიზნეს ცენტრი; ვიზიტორთა ცენტრი **მაღრაანში და აკურაში.**

2019წ. ციხისძირი „სკაი ბრიჯ“; იუსიტიციის სახლები **ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია.**

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები:

2014წ. თბილისი - 8სართ საცხ.სახლი ონიაშვილის ქ.-ზე; **თბილისი** - 9სართულიანი საცხ.სახლი სოფელ დიღომში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარე ტერიტორია; **თბილისი** - 11 სართულიანი საცხ.სახლი სოფელ დიღომში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარე ტერიტორია; **თბილისი** - 5სართულიანის საცხ. სახლი მეგრელიძის 18ში; **თბილისი** - 4-5 სართულიანი საცხ. კომპლექსი მთაწმინსი 14ში.

2015წ. თბილისი- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, შატბერაშვილის და კეკელიძის ქ.-ის მიმდებარედ 7 სართული. **თბილისი** მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული), დასახლება ვარკეთილი-3, მ.რ.- III კ. 310 მიმდებარედ სართული 9;

2016წ. თბილისი 9 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი "მწვანე ბრილიანტი" -"GREEN DIMOND", ფანჯიკიძის (ყოფ. ბუდაპეშტი) დიღმის ჭალები; **თბილისი** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 10 სართული ვაჟა-ფშაველას #20 ში; **თბილისი,**

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 18 სართული, ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N3.

2017წ. თბილისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სართული 8, გოგებაშვილის ქ. N48; **თბილისი**, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სართული 12, ერისთავის ქუჩა N4 (ნაკვეთი 02/22); **თბილისი**, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სართული 10, ისანი ვაზიუბანი.

2018წ. თბილისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სართული 5, ნუცუბიძის პლატოს IV მ/რ-ნი; **თბილისი** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სართული 5, ნინოშვილისი 51; **თბილისი** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი იუნიქსი, სართული 9, დიღომი 8 (იუნიქსი); **ბათუმი**, 10 სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი (ბათუმი ჰილსი) ბათუმგორას დასახლება.

2019წ. თბილისი ბალკონი ლისზე, სართული 9; **თბილისი** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ეგვიპტელები II) , სართული 15 დიდი დიღომი;

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები

2014წლიდანდ- დღემდე - 40 ამდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

- რეკონსტრუქციები

2014წ. ქუთაისი - ყოფილი კლინიკური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია; **კასპი** - ყოფილი საავადმყოფოს A და B ბლოკების რეკონსტრუქცია; **ბორჯომი** - ყოფილი სამშობიაროს რეკონსტრუქცია;

2015წ. თბილისი - რუსთაველის 30, სასტუმრო "HYATT"; **თბილისი** -Sheraton Metechi Palace Tbilisi (შერატონ მეტეხი პალასი); **თბილისი**, ქუთათელაძს ქ. #43 ლათინ- კათოლიკთა შენობის რეკონსტრუქციის პროექტი სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტი (საბაუნი);

2016წ. წინანდალი - წინანდალი ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია; **თბილისი**- კოლმეურნეობის მოედნის რეკონსტრუქცია

(სოფჩაკის N 5-1; ფხოვის N 1; ფხოვის N 3-18; ფურცელაძის N 16); **თბილისი** კაზინო ივერიის რეკონსტრუქცია;

2017წ. **თბილისი** ფოსტის შენობის რეკონსრუქცია; **თბილისი**, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ. -ბიოქიმია.

2018წ. **თბილისი**, m2 გალერეა; **თბილისი** - სასტუმრო გაგრინის მოედაზე;

2019წ. თბილისი , აპოლოს რეკონსტრუქცია.

შენიშვნა:

აღნიშნული ობიექტების პროექტირებაში ჩართული ვიყავი როგორც პრ. მთ. კონსტრუქტორი